







<p>Contract on Purchase of Consulting Services <i>within the Frames of Assignations from the Reserve Fund of the Government of Georgia</i></p>	<p>ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში</p>
<p>Date: February 2, 2018</p>	<p>თარიღი: 2 თებერვალი, 2018 წელი</p>
<p>This contract is made pursuant to the Article 1, Paragraph 3¹, Section (e) of Law of Georgia on State Procurement, in compliance with the ordinance #271 (02.02.2018) of the Government of Georgia, by and between the Administration of the Government of Georgia, represented by the Head of the Administration of the Government of Georgia, Mrs. Maya Tskitishvili (hereinafter referred as "the Client"), and the Chartwell Strategy Group, LLC represented by Mr. David Tamasi, Managing Director (hereinafter referred as "the Firm/Provider").</p>	<p>წინამდებარე კონტრაქტი იდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის N271 განკარგულების (02.02.2018) შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მია ცქიტისვილი (შემდგომში „დამკვეთი“) და The Chartwell Strategy Group, LLC-ს შორის, რომელიც წარმოადგენილია დევიდ ტამასის, მმართველი დირექტორის სახით (შემდგომში „ფირმა/მიმწოდებელი“).</p>
<p>WHEREAS, in consideration of the Services hereinafter stated, the Client is willing to hire the Firm to assist the Client with respect to supporting U.S.-Georgia bilateral relations, expanding bilateral trade and FDI inflow from the U.S., supporting relations with media and opinion makers, facilitate arrangement of relevant events and meetings, and educating U.S. leaders about developments in Georgia, which includes services to be provided as listed on Appendix A.</p>	<p>ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისების მისაღებად, დამკვეთი ქრავს ფირმას/მიმწოდებელს, რომელიც დაეხმარება დამკვეთს აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების, ორმხრივი ვაჭრობის გაფართოებისა და აშშ-დან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების კუთხით. ასევე მედიასა და გავლენიან პირებთან ურთიერთობაში; ხელს შეუწყობს შესაბამისი ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზებასა და აშშ-ის ხელმძღვანელი პირების ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, გასაწყვი მომსახურების ჩამონათვალი წარმოადგენილია დანართ "A"-ში.</p>
<p>The Firm/Provider is willing to render such services to the Client</p>	<p>ფირმა/მიმწოდებელი აცხადებს მზადყოფნას, უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების გაწევა დამკვეთისათვის.</p>
<p>NOW THEREFORE, the parties agree as follows:</p>	<p>ამგვარად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:</p>
<p>Article 1. Purpose of the Contract The purpose of the Contract is to make available to the Client the Services (hereinafter referred as "the Services") by the firm/provider as shown in the recital of this Contract and subsequently agreed to by the Client and Firm/Provider on an ongoing basis.</p>	<p>მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს დამკვეთის მიერ ფირმისგან/მიმწოდებლისგან იმ მომსახურების მიღება (შემდგომში, მომსახურება), რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და რომელზეც დამკვეთი და ფირმა/მიმწოდებელი, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მომავალში შეთანხმდებიან.</p>







<p>Article 2. Rights and Obligations of the Parties The Firm/Provider:</p> <p>2.1.1 Shall render the Services in due time and of proper quality.</p> <p>2.1.2 Has to notify the Client regarding any conflict of interest that would interfere with its representation;</p> <p>2.1.3 Agrees not to disclose any confidential information obtained during the performance of the Services to anyone other than the Client without the specific written consent of the letter. This provision is valid at any time during or after the duration of the Contract except when disclosure of such information is required by the law;</p> <p>2.1.4 The Firm/Provider is obliged to inform the Client immediately about any reasons and/or circumstances that could disrupt the timely and proper fulfillment of the "Services;"</p> <p>2.1.5 Shall avoid any intentional behavior which will knowingly damage the Government of Georgia's reputation and interests.</p> <p>2.2 The Client:</p> <p>2.2.1 Shall render payment to the Firm/Provider for the Services provided in accordance with Article 4 of this Contract;</p> <p>2.2.2 Agrees that the Firm/Provider's representation in this matter will not preclude the Firm/Provider representing other clients whenever such representation can be undertaken consistent with applicable ethical and professional rules.</p>	<p>მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები 2.1. ფირმა/მიწოდებელი ვალდებულია:</p> <p>2.1.1. უზრუნველყოს შესაბამისი ხარისხის მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;</p> <p>2.1.2. აცნობოს დამკვეთს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომლის არსებობაც ხელს შეუშლის მის მიერ მომსახურების გაწევას;</p> <p>2.1.3. არ გაამჟღავნოს მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე მხარესთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის გაცემის თაობაზე დამკვეთისგან წერილობით თანხმობას მიიღებს. აღნიშნული დებულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი ვადის ამოწურვის შემდეგაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება კანონით.</p> <p>2.1.4. დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს ნებისმიერი მიზეზი ან/და გარემოება, რომელმაც, შესაძლოა, შეგავლენა იქონიოს მომსახურების დროულად მიწოდებას ან/და მის ხარისხზე.</p> <p>2.1.5. თავი არიდოს ნებისმიერ განზრახ ქმედებას, რომელიც შეეწებულად ზიანს მიაყენებს საქართველოს მთავრობის რეპუტაციასა და ინტერესებს.</p> <p>2.2. დამკვეთი ვალდებულია:</p> <p>2.2.1. უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად;</p> <p>2.2.2. თანახმაა, ფირმის/მიწოდებლის მიერ მისთვის მომსახურების გაწევის პერიოდში, ფირმა/მიწოდებელმა ანალოგიური მომსახურება გაუწიოს სხვა დამკვეთებს, თუ აღნიშნული საქმიანობა შესაბამისი ეთიკური და პროფესიული წესების დაცვით განხორციელდება.</p>
<p>Article 3. Deliverables and Reports The Firm/Provider shall submit;</p> <p>3.1 A monthly report with detailed description of the completed activities during a reporting period. Monthly reports shall be submitted within 5 days after the end of a reporting period;</p> <p>3.2 All deliverables produced (e.g. plans, speeches, action plans, publications) during a reporting period; deliverables should be submitted together with monthly reports;</p> <p>3.3 A final report shall be submitted within 10 days after the end of the contract.</p>	<p>მუხლი 3. მომზადებული მასალა და ანგარიშები ფირმა/მიწოდებელი ვალდებულია წარადგინოს:</p> <p>3.1. ყოველთვიური ანგარიში, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაო. ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა;</p> <p>3.2. ყველა მასალა (მაგ.: გეგმები, გამოსვლები, საჩოქმედო გეგმები, პუბლიკაციები), რომელიც მომზადდება საანგარიშო პერიოდში; აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ყოველთვიურ ანგარიშთან ერთად.</p> <p>3.3. საბოლოო ანგარიში, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დასრულებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.</p>

<p>Article 4. Contract Term, Costs and Taxes</p>	<p>მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა, ღირებულება და გადასახადები</p>
<p>4.1. Monthly amount fee appropriate of service, provided by the firm/provider, is determined as USD 54,545.00 (fifty four thousand five hundred forty five U.S. dollars)</p>	<p>4.1. ფირმის/მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება 54,545.00 (ორმოცდათხუთმეტიათას ხუთას ორმოცდახუთი) აშშ დოლარით.</p>
<p>4.1.1 Monthly payment equal to USD 54,545.00 shall be made by the Client to the Firm/Provider's bank account within 15 days after the Firm/Provider submits an invoice together with monthly reports and deliverables indicated in the article 3 of the contract.</p>	<p>4.1.1. დამკვეთი ვალდებულია, ყოველთვიური ანგარიშსწორება, რომელიც შეადგენს 54,545.00 აშშ დოლარს, განახორციელოს ფირმის/მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფირმის/მიმწოდებლის მიერ ინვოისის, ასევე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყოველთვიური ანგარიშებისა და დოკუმენტაციის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.</p>
<p>4.2. Extra costs in excess of USD 500.00 (five hundred U.S. dollars) per month, including international and domestic travel, economy class tickets, standard room accommodation, taxis to and from airport and other expenses incurred by the firm/provider require prior approval of the Client.</p>	<p>4.2. საერთაშორისო და ადგილობრივ მგზავრობასთან, ეკონომ-კლასის ბილეთებთან, სტანდარტულ ოთახებში განთავსებასთან, აეროპორტამდე და აეროპორტიდან ტაქსის მომსახურებასთან დაკავშირებული და, აგრეთვე, სხვა ხარჯები, რომელიც იწვევება აღმატება თვეში 500 (ხუთასი) აშშ დოლარს, საჭიროებს დამკვეთის წინასწარ თანხმობას.</p>
<p>4.2.1. For the purposes of reimbursement of extra costs the Client may request submission of checks, receipts, bills, invoices or any other financial documents that may be used to certify the fulfillment of the Firm/Provider's contractual obligations. The Firm/Provider is obliged to keep above mentioned documents for the duration of the contract.</p>	<p>4.2.1. დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დამკვეთს შეუძლია, გამოითხოვოს ქვითრები, ინვოისები და/ან სხვა ფინანსური დოკუმენტაცია, რომლებიც ადასტურებს ფირმის/მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ფირმა/მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეინახოს აღნიშნული დოკუმენტაცია.</p>
<p>4.3. Taxes, which may be incurred by the Firm/Provider on payments made by the client for the Services rendered under this contract, shall be the responsibility of the Client for taxes incurred in Georgia and the responsibility of the Firm/Provider for taxes incurred outside of Georgia.</p>	<p>4.3. იმ გადასახადების გადახდაზე, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების პროცესში შეიძლება წარმოიშვას, საქართველოში პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო საქართველოს გარეთ დაკისრებული გადასახადების ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია ფირმა/მიმწოდებელი.</p>
<p>4.4. The Firm/Provider bears all the expenses connected with bank services on the territory of its country. The Client bears all expenses connected with bank services on the territory of Georgia.</p>	<p>4.4. ფირმა/მიმწოდებელი დაფარავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც უკავშირდება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ საბანკო მომსახურებას, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს დამკვეთი.</p>

<p>Article 5. Force Majeure</p> <p>5.1. Parties to the contract shall be released from responsibility for complete or partial non-performance of their obligations under the Contract should this non-performance be caused by such circumstances like flood, fire, other natural disaster, strikes, military operations, epidemics and other unforeseeable circumstances which are beyond the Party's control and if they have had a direct damaging effect on the execution of the contract. If any of these circumstances have affected directly to the timely execution of the Contract the term of liabilities execution will be postponed in proportion for the time period of the disruptive events. Parties are obliged to give a written notification regarding impending circumstances mentioned in this Article.</p>	<p>მუხლი 5. ფორსმაჟორი</p> <p>5.1. დამკვეთი და ფირმა/მიმწოდებელი თავისუფლდებაან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით წარმოქმნილი პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, სხვა სტატეიური უბედურებები, გაფიცვები, სამხედრო ოპერაციები, ეპიდემიები და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეების კონტროლს და თუ აღნიშნულმა მოვლენებმა პირდაპირი გავლენა იქონია ხელშეკრულების შესრულებაზე, თუ აღნიშნული გარემოებებიდან რომელიმე პირდაპირ გავლენას ახდენს ხელშეკრულების დროულად შესრულებაზე, შესრულების ვალდებულება გადაადდება შემავრცობელი გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შექმნილია ხდება ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამ მუხლში ჩამოთვლილი შემადგობელი გარემოების შესახებ.</p>
<p>Article 6. Revision of Contract Terms and Prices</p> <p>6.1. Any changes in the nature or scope of the Services to be performed by the Firm/Provider for the Client pursuant to this Contract or any amendment in the terms of this Contract shall only be made in writing in the form of an addendum to this Contract. Such addendum shall be signed by the both Client and the Firm/Provider and shall be incorporated as inseparable part of this Contract by this reference.</p>	<p>მუხლი 6. ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების გადახედვა</p> <p>6.1. ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთის მიერ გასაწევი მომსახურების ან კონტრაქტის ვადებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული ხელშეკრულების წერილობითი დამატების სახით. ამგვარი შეთანხმება ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ და ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.</p>
<p>Article 7. Termination of the Contract</p> <p>7.1 The Contract can be terminated by either Party with one-month advance written notice or 15 day written notice in case any Party violates the terms of the Contract.</p> <p>7.2 In the event of termination of the Contract, the Client shall compensate the Firm/Provider for its fees incurred for the Services performed up to the effective date of termination in connection with the termination of the Contract.</p>	<p>მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>7.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ორივე მხარის მიერ, 1 (ერთი) თვით ადრე, წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ან/და 15 (თხუთმეტი) დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს.</p> <p>7.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, ააზაზღაუროს ფირმის/მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე გაწეული მომსახურების საფასური.</p>
<p>Article 8. Dispute Resolution & Governing Law</p> <p>8.1 This Contract shall be governed and construed in accordance with the Georgian Law.</p> <p>8.2 The parties shall resolve matters of argument on the grounds of mutual agreement;</p> <p>8.3 If such agreement cannot be reached, the dispute shall be resolved between the parties in the Court of Georgia, in accordance with the procedures stipulated by the provisions of the current legislation in Georgia.</p>	<p>მუხლი 8. დავების გადაწყვეტა და მარჯგულირებელი კანონმდებლობა</p> <p>8.1. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.</p> <p>8.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებით.</p> <p>8.3. თუ მსგავსი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, იმ პროცედურების სრული დაცვით, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.</p>

<p>Article 9. Non-fulfillment of the Agreement Terms</p> <p>9.1. In case of improper fulfilment or non-fulfilment of the contract terms, the parties shall bear legal responsibility in compliance with the current legislation.</p>	<p>მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა</p> <p>9.1. ხელშეკრულების პირობების არაეკონომიკური შეუსრულებლობის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>
<p>Article 10. Validity of the Contract and Special Conditions</p> <p>10.1. This contract will be valid from February 2, 2018. The end date of the Contract is December 31, 2018. The parties may renew the Contract for an additional time period as may be further agreed in writing.</p> <p>10.2. The agreement is executed in English and Georgian languages in 3 (three) copies and each of them has the equal legal effect.</p> <p>10.3. One copy of the agreement is sent to the Firm/Provider, and two are kept by the Client.</p>	<p>მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და განსაკუთრებული პირობები</p> <p>10.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 2 თებერვლიდან. ხელშეკრულების დასრულების ვადად განისაზღვრება 2018 წლის 31 დეკემბერი. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p> <p>10.2. ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.</p> <p>10.3. ხელშეკრულების ერთი პირი იგზავნება ფირმასთან/მიმწოდებელთან ხოლო ორი ინახება დამკვეთთან.</p>
<p>Article 11. Requisites</p> <p>11.1. "Client"</p> <p><i>Administration of the Government of Georgia</i> Tbilisi, 7 Ingorokva St. The Treasury ID: 204454198</p> <p>Head of the Administration of the Government of Georgia</p>  <p>M. Tskitishvili</p> <p>11.2. "Firm"/ Provider"</p> <p>Chartwell Strategy Group, LLC 300 M Street, SE, Suite 402 Washington, DC 20003 USA</p>  <p><i>Managing Director</i></p>  <p>D. Tamasi</p>	<p>მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები</p> <p>11.1. დამკვეთი</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ქ. თბილისი, ინგოროკვა ქ. N7 სახელმწიფო ხაზინა ს/კ: 204454198</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი</p>  <p>M. Tskitishvili</p> <p>11.2. "ფირმა"/ მიმწოდებელი</p> <p>Chartwell Strategy Group, LLC 300 M Street, SE, Suite 402 Washington, DC 20003 USA</p>  <p>მხარეთელი დირექტორი</p>  <p>D. Tamasi</p>

Appendix A	დანართი A
Scope of work (Services)	მომსახურების ჩამონათვალი
The below services will be provided under this agreement by the Firm/Provider:	ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ფირმა/მიწოდებელი უზრუნველყოფს შემდეგ მომსახურებას:
<p>Assist the Client in developing and strengthening relationships with key groups in the United States, including:</p> <ul style="list-style-type: none"> • Senior officials in the White House, U.S State Department, U.S. Department of Defence, etc. • Members of Congress. • Other high level officials and their top advisors. 	<p>დამკვეთის ხელშეწყობა, განავითაროს და გააღრმავოს ურთიერთობები აშშ-ის წამყვან ჯგუფებთან, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვის დეპარტამენტის და ა.შ. წამყვან ოფიციალურ პირებთან. • კონგრესის წევრებთან • სხვა მაღალი რანგის პირებსა და მათ მთავარ მრჩეველებთან.
In cooperation with the Georgian Embassy in the United States, assist the Client in securing demonstrations of support for Georgia from the above groups, as well as deliverables on key agenda items.	აშშ-ში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, დამკვეთის დახმარება აღნიშნული ჯგუფების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრირებაში, ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებში დახმარება.
Provide strategic advice on foreign policy, deepening the Georgia-NATO relations, securing U.S. foreign security assistance, enhancing defense cooperation with the United States, diplomatic relations, and international public affairs to the Client.	დამკვეთისთვის სტრატეგიული რჩევების მიცემა საგარეო პოლიტიკის, საქართველო-ნატოს ურთიერთობების გაღრმავების, აშშ-გან საგარეო უსაფრთხოების სფეროში დახმარების მიღების, თავდაცვის კუთხით აშშ-სთან ურთიერთობების გაფართოების, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე.
Engage U.S. administration officials on the need to support greater U.S. direct investments into Georgia and to expand bilateral trade and economic cooperation.	აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალური პირების დაინტერესება აშშ-დან საქართველოში მეტი პირდაპირი ინვესტიციების საჭიროებასა და ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებაში.
Monitor developments in Washington related to Georgia and provide updates to the Client.	ვაშინგტონში საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ დამკვეთის მუდმივად ინფორმირება.
Provide ongoing communications support for the PM at all major events, to include speech writing, drafting op-eds and talking points for interviews and conducting preparatory sessions.	პრემიერ-მინისტრისთვის მიმდინარე საკომუნიკაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის, სიტყვით გამოსვლების, წერილების, ინტერვიუებისათვის სასაუბროების მომზადება და მოსამზადებელი შეხვედრების ჩატარება.
Provide advice and support on U.S. related drafts of op-eds, letters, speeches and other materials to the Administration of the Government of Georgia.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის რჩევების მიცემა და დახმარება აშშ-თან დაკავშირებული სტატიების, სიტყვით გამოსვლების, წერილების თაობაზე და სხვა მასალებთან დაკავშირებით.
Provide guidance and support to the Administration's communications team regarding media outreach and relationship building.	ადმინისტრაციის კომუნიკაციების გუნდისათვის რჩევების მიცემა მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე.
Develop media strategy and conduct outreach to top-tier US media to build the Government's profile.	მედიასტრატეგიის მომზადება და აშშ-ის წამყვან მედიასაშუალებებთან კომუნიკაცია, მთავრობის იმიჯის შექმნის მიზნით.
Provide continual real time memoranda and advice to the Administration's team on public relations materials,	ადმინისტრაციის გუნდის მუდმივ რეჟიმში მხარდაჭერა და კონსულტაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის მასალების, წერილობითი პასუხების, დაგეგმვის,

<p>including written responses, planning, messaging, press releases, briefing memos and the like.</p>	<p>გზავნილების, პრესრელიზების, მოკლე მიმოხილვების და ა.შ. თაობაზე.</p>
<p>Provide media and public relations support for Prime Minister and other key Ministers' visits to the US.</p>	<p>პრემიერ-მინისტრისა და სხვა წამყვანი მინისტრების აშშ-ში ვიზიტის დროს ინტერვიუების/საჯარო გამოსვლების ორგანიზება და მხარდაჭერა.</p>
<p>Provide ongoing media relations counsel to the Georgian Embassy to the U.S., review and edit related materials as needed.</p>	<p>აშშ-ში საქართველოს საელჩოსთვის მიმდინარე მედიაკომუნიკაციაში დახმარება, შესაბამისი მასალის რედაქტირება, საჭიროების შესაბამისად.</p>
<p><i>Administration of the Government of Georgia</i> Tbilisi, Ingorokva St. #7 The Treasury ID: 204454198 Head of Administration of the Government of Georgia</p>  <p>M. Tskitishvili Firm/Provider</p> <p>Chartwell Strategy Group, LLC 300 M Street, SE, Suite 402 Washington, DC 20003 USA</p>  <p>Managing Director</p>  <p>/D. Tamasi/</p>	<p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ქ. თბილისი, ინგოროკვას ქ. N7 სახელმწიფო ხაზონა ს/კ: 204454198 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი</p>  <p>ფირმა/მიწოდებელი Chartwell Strategy Group, LLC 300 M Street, SE, Suite 402 Washington, DC 20003 USA</p>  <p>მმართველი დირექტორი</p>  <p>/D. Tamasi/</p>